ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ.თბილისი 19.09.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ინდირა ამირანაშვილი - დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-PriEd) დირექტორის მოადგილე;
თამარ ცირეკიძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე -ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ზაზა დავითაშვილი - გარემო მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:
თამარ ნათენაძე - შპს ლილეს დირექტორი;
ლია გელენიძე - შპს მჭევრის დამოუკიდებელი სკოლის აღმასრულებელი მენეჯერი;
თამაზ ნაცვლიშვილი - შპს მჭევრის დამოუკიდებელი სკოლა, გნერალური მენეჯერი;
ანა ბედენაშვილი - შპს არძანის მენეჯერი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში;
გრიგოლ ბულია - შპს არძანის დამფუძნებელი;
იოსებ ხუციშვილი - შპს არძანის დამფუძნებელი;
მეგი ტალახაძე - შპს ქართულ-ამერიკული სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
ირმა მესხიშვილი - შპს ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორი;
მაია კუბეტოვა - შპს ქართულ-ამერიკული სკოლის დირექტორის მოადგილე;

მამუკა მესხიშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი;
ლელა ფიცხელაური - შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის მოადგილე;
თეონა მაისურაძე - შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
მერი ქვრივიშვილი - შპს კანდიდის საშუალო სკოლის დირექტორი;
თათია ზარქუა - შპს კანდიდის საშუალო სკოლის იურისტი;
მარინე ქვრივიშვილი - შპს კანდიდის საშუალო სკოლის დირექტორი;
როლანდ კობრეშვილი - შპს თელავის ევროპული სკოლის დირექტორი;
მარიამ კასრაძე-საბაშვილი - ა(ა)იპ - ზოგადასაგანათლებლო სკოლა ნიჭიერთა ათწლედის დირექტორი;
მელქისედეკ ხაჩიძე - ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
მაია ლაპიაშვილი - ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლა-ინტერნატის აღმასრულებელი დირექტორი;
ვასო ჯანიაშვილი - შპს სკოლა ლიცეუმი სანთელის დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნოდარ ანგურიძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
დავით ჭეიშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
ნინო ფეტვიაშვილი.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 16:35 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აღნიშნული დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.შპს ლილეში (ს/კ 209440728) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.შპს მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნესის სკოლაში (ს/კ 208142339) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.შპს არმანში (ს/კ 203840709) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.შპს ქართულ-ამერიკული სკოლის (ს/კ 404965169) მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5.შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (ს/კ 202937983) მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
6.შპს კანდიდის საშუალო სკოლის (ს/კ 209476173) მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
7.შპს თელავის ევროპული სკოლის (ს/კ 431171509) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8.ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ნიჭიერთა ათწლედის (ს/კ 405001714) ავტორიზციის საკითხის განხილვა;
9.ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატის (ს/კ 428518017) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10.შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის (ს/კ 406091857) ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ლილეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა რამაზ გიუნაშვილმა და ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველს დაწესებულების მიერ ფართის ცვლილება წარმოადგენდა. შესაბამისად, ექსპერტებს ევალებოდათ შეემოწმებინათ სკოლის მატერიალური რესურსი. ნინო ფეეტვიაშვილის თქმით, ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა კონკრეტული ხარვეზები, რომლებიც ვიზიტისა და დასკვნის მომზადების პერიოდში გამოსწორდა. მან ასევე ისაუბრა იმ ხარვეზებზე, რომელიც ვიზიტის დროს არ გამოსწორებულა:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინდა ცეცხლმაქრების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით ვერ დადგინდა არსებული ცეცხლმაქრების რაოდენობის შესაბამისობა ფაქტობრივ რაოდენობასთან;

1.2 ვიზიტის დროს კამერები განთავსებული იყო სკოლის შიდა პერიმეტრზე, რის გამოც კამერები ვერ უზრუნველყოფდნენ გარე პერიმეტრის კონტროლს;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ნათენაძემ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა ცეცხლმაქრების ფლობას. ასვე განაცხადა, რომ კამერები უკვე განთავსებული იყო იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო გარე და შიდა პერიმეტრის კონტროლი.

მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულებაში ბიბლიოთეკარის შტატი. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებს· მატერიალური რესურსის შემოწმება ევალებოდათ, თუმცა, ავტორიზაციის მიღების მიზნით განხორციელებული ვიზიტის დროს თავად იყო აღნიშნულ დაწესებულებაში ექსპერტი და ადასტურებდა ბიბილიოთეკარის შტატის არსებობას.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლილეს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ლილეს (ს/კ: 209440728) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნესის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორმა, რამაზ გიუნაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნულ სკოლაში მონიტორინგი განხორციელდა 2013 წლის 26 ივლისს. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი დაწესებულებამ გამოასწორა. ხარვეზად რჩებოდა მოძრავი ქონების ფლობის დადასტურების საკითხი, რომელიც ქონების მართვის სააგენტოს მიერ დაწესებულებისთვის ოფიციალურად არ იყო გადაცემული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2012 წელს მან შეიძინა 111-ე საჯარო სკოლის შენობა ნახევარ მილიონ ლარად. შეძენის პარალელურად შედგა მოლაპარაკება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რით დასტურდებოდა ქონების შეძენა, რაზეც თამაზ ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ქონების ფლობის დადასტურება საჯარო რეესტრის მონაცემებით და შესაბამისი ხელშეკრულებებით იყო შესაძლებელი. მან აქვე აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენდა მოძრავი ქონების ფლობის დადასტურება, რომლის გადაცემის თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა დაეყენებინა შუამდგომლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2012 წლის სამთავრობო ცვლილებებიდან გამომდინარე მოხდა საკითხის შეჩერება, რამაც დაწესებულება აიძულა თავად დაეყენებინა ზემოთ აღნიშნული შუამდგომლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოძრავი ქონება ეკუთვნოდა შპს მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნესის სკოლას, რადგან მან შენობის შეძენისას აიღო ვალდებულება 111-ე საჯარო სკოლაში არსებული მოსწავლეებისთვს უფასოდ ესწავლებინა. თამაზ ნაცვლიშვლმა ასევე დაამატა, რომ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მონაწილეობით მოხდა აუდიტის მოწვევა და ქონების აღრიცხვა. მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ აღწერილი მოძრავი ქონება არ წარმოადგენდა სხვა საჯარო სკოლის კუთვნილებას, სადაც მოხდა 111-ე სკოლის მოსწავლეთა ნაწილის გადაყვანა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოთქვა მზაობა აღნიშნული ქონების გადაცემის შესახებ. საბოლოო დასტური წარმოადგენს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს პრივილეგიას, რომელმაც აღნიშნული მოძრავი ქონების ღირებულების დადგენის მიზნით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. თამაზ ნაცვლიშვილმა წარმოადგინა აღნიშნული მიმოწერის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რატომ არ მიმართა დაწესებულებამ სასამართლოს. თამაზ ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სახელმწიფოსთან უკვე ჰქონდა დავა სხვა საკითხზე, რომელზეც მიმართვის მიუხედავად წარმოება არ დაწყებულა.

საბჭოს წევრმა, ინდირა ამირანაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დამატებით განემარტა თუ რა დასტურდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ბოლო წერილით, რაზეც თამაზ ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წერილით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თანხმობას გამოხატავდა მოძრავი ქონების გადაცემაზე.

16:55 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნესის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნესის სკოლის (ს/კ: 208142339) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ მხარი დაუჭირა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმებას, რადგან სამართლებრივი თვალსაზრისით, სახეზე იყო ერთ-ერთი ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა. ლაშა მკურნალიძემ სთხოვა დაწესებულებას, საქმის დაჩქარების მიზნით, მიემართა სასამართლოსთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, რომ თვალი მიედევნებინა აღნიშნული საკითხისათვის და თავის მხრივ სთხოვა დაწესებულებას, რომ ყოველი შემდგომი ნაბიჯი ეცნობებინა ცენტრისათვის.

3. შპს არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა - ლაშა მკურნალიძემ და თამარ ცირეკიძემ განაცხადეს თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორებმა, რამაზ გიუნაშვილმა და ზაზა დავითაშვილმა. რამაზ გიუნაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა შპს არძანში 2014 წლის 7-8 მაისს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ საკითხი განიხილა 2014 წლის 17 ივნისის საბჭოზე. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების უმეტესი ნაწილი დაწესებულებამ გაითვალისწინა და გამოსწორა ვიზიტის პერიოდში. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ არსებით ხარვეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დაწესებულებას დაუდასტურდებოდა ფართის მართლზომიერი ფლობა. ექსპერტმა ისაუბრა ვიზიტის დროს წარმოჩენილ საკითხებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ვინაიდან შენობის პრივატიზების მიზნით ხელშეკრულება დროებით იქნა შეჩერებული სკოლის დამფუძნებლის განმარტებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება. დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული ფართისა და ამ ფართზე მდებარე შენობა-ნაგებობის ქირავნობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია 2003 წლის 31 ივლისს და 2004 წლის 22 იანვარს, ამასთანავე დაწესებულებამ წარმოადგინა საკადასტრო რუკა და შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა მონიტორინგის ჯგუფის წევრს, რამაზ გიუნაშვილს და დაინტერესდა ფართის ქირავნობის ხელშეკრულება არსებობდა თუ არა ვიზიტის პერიოდამდე. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდამდე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ის ინფორმირებული არ იყო და დაამატა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 20014 წლის 4 ივლისის წერილი ქონების მართვის ეროვნული სააგენტოდან.

დაწესებულების დამფუძნებელმა საბჭოს გადასცა აღნიშნული წერილი და განაცხადა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და სკოლას შენობის გარეშე დარჩენის საფრთხე არ ემუქრებოდა. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა აღნიშნული დაერთო საქმისთვის დანართის სახით.

დაწესებულების დამფუძნებელმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო წერილში არ არის აღნიშნული არც ერთი გარემოება, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა სკოლის ფაქტობრივ მისამართზე არსებობას. გრიგოლ ბულიამ ასევე დაამატა, რომ დაწესებულების დამფუძნებლების სურვილია სკოლამ დაიმატოს ფართი და ამჯერად მიმდინარეობს

მოლაპარაკებები აღნიშნულთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. მან ასევე აღნიშნა, რომ დაფუძნების დღიდან დაწესებულებას შენობა-ნაგებობის რემონტისა და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის დახარჯულია მილიონ სამასი ათასი ლარი. შენობასთან არსებულმა გაურკვევლობამ დაწესებულებას ავტორიტეტი შეულახა, რაც უარყოფითად აისახა მოსწავლეთა რაოდენობაზე.

17:25 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არძანის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არძანის (ს/კ: 203840709) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში მოხდა მატერიალური რესურსის შემოწმება, რის შედეგადაც არსებით ხარვეზები არ გამოვლენილა. აქვე დაამატა, რომ დაწესებულებას 200 მერხი ჰქონდა და ადგილების დამატების შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა კიდევ 80 მერხის შეძენა, თუმცა მერხებს გარკვეული ნაწილის შესაძენად თანხა უკვე გადახდილი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინვენტრის შეძენის საკითხი მოგვარებული იყო და წარადგინა მერხების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა, ინდირა ამირანაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, იყო თუ არა შენობაში საკმარისი საკლასო ოთახების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საკლასო ოთახები და მერხები საკმარისი რაოდენობის იყო.

საბჭოს წევრი, ნატო ქობულაძე დაინტერესდა, რამდენ სართულზე იყო განლაგებული მოძრავი პანდუსი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პანდუსები ხუთივე სართულზე ჰქონდათ განლაგებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ ექსპერტს მიმართა კითხვით, თუ დასტურდებოდა 1754 კვ.მ ოდენობის ფართი. ნოდარ ანგურიძემ დაადასტურა შენობის ფართის აღნიშნული ოდენობა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ სად მდებარეობდა ტერიტორიულად დაწესებულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შენობა რამიშვილის ქუჩაზე იყო განთავსებული. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე პარკირების პრობლემა იყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბავშვებს მიკროავტობუსები ემსახურებოდნენ.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, დაწესებულების წარმომადგენელს ურჩია გაეზარდათ ერთ ბავშვზე წიგნების რაოდენობა მინიმუმ 10-მდე.დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-მდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School-ს (ს/კ: 404965169) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

5. შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 655 მოსწავლე. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა - 700-ით განესაზღვრებოდა. სკოლა ითხოვდა კონტიგენტის 900-მდე გაზრდას. მან აქვე აღნიშნა რომ სკოლას შენობა იჯარით ჰქონდა აღებული და კიდევ იმატებდა ფართს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ნოტარიულად დამოწმებული წინასწარი განაცხადი ფართის გადაცემაზე და დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ დასამატებელი ფართის მშენებლობა დასრულებული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა აღნიშნული დაერთო საქმისათვის.

ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში 42 საკლასო ოთახი, 2 კომპიუტერული კლასი, ერთი ლაბორატორია, ერთი უცხო ენის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი და სპორტული მოედნები იყო. საკლასო ოთახებში და კაბინეტებში განთავსებული იყო 790 ინდივიდუალური მერხი შესაბამისი სკამებით. გარდა ამისა,სკოლამ წარმოადგინა თურქულ ფირმა შპს „ადნან აჰშაფ ინშ. თააჰ. დიშ. თიჯ."-თან გაფორმებული ხელშეკრულება 160 ერთადგილიანი მერხების შეძენის თაობაზე და ნაწილი თანხის გადარიცხის დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ამერიკული უმაღლესი სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-მდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლას (ს/კ: 202937983) მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.

6. შპს კანდიდის საშუალო სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხსდომის თავმჯდომარე, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა სკოლის ადგილმდებარეობით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შპს კანდიდის საშუალო სკოლა გლდანში მდებარეობდა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნოდარ ანგურიძემ წარადგინა. მან ყურადღება გაამახვილა ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაწილებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 503 ერთადგილიანი და 8 სამადგილიანი მერხი თავისი სკამით, 25 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 4 „კომბაინი", 4 პერსონალური კომპიუტერი (ნოუთბუკი). აღნიშნული ქონების ფლობის შესახებ დაწესებულებას: 142 ერთადგილიან მერხზე თავისი სკამებით, 22 კომპიუტერზე, 4 პერსონალურ კომპიუტერზე (ნოუთბუკი) და ერთ პროექტორზე ჰქონდა შესყიდვის ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, ხოლო დანარჩენ 369 ერთადგილიან მერხზე თავისი სკამებით და 3 კომპიუტერზე ჰქონდა სასაქონლო ზედნადებები და ქონება აღწერილი და შეტანილი იყო ე.წ. საინვენტარო ჟურნალში.

საბჭოს თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სასაქონლო ზედნადებები არ წარმოადგენდა ქონების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 2011 წელს შეძენილი 380 მერხი და ავტორიზაცია აღნიშნული დოკუმენტაციით ჰქონდა მიღებული, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასაქონლო ზედნადები არ ადასტურებდა იმას, რომ თანხა გადახდილი იყო.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ ეს ვერ ჩაითვლებოდა არგუმენტად, რადგან განიხილებოდა დაწესებულების ამჟამინდელი მდგომარეობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და იკითხა, ბუღალტერიაში თუ არსებობდა მერხების შეძენასთან დაკავშირებული გადარიცხვის ქვითრები, რაზეც დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ გადახდის ქვითრები დაკარგული იყო.

საბჭოს წევრმა, მანანა რატიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორ უმკლავდებოდა ერთი დამლაგებელი შენობის ფართობის დალაგებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი არ იყო დაწყებული, შესაბამისად, ერთი დამლაგებელი ართმევდა თავს სამუშაოს.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რამდენი მოსწავლის დამატებას გეგმავდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას სურდა 130 მოსწავლის დამატება.

საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, რატომ მუშაობდა ბიბლიოთეკა დღის განმავლობაში მხოლოდ 2 საათით და რის გამო არ შეიძლებოდა ბიბლიოთეკით სარგებლობა სწავლის პერიოდში.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ კვირის განმავლობაში, ბიბლიოთეკა 8 საათით იყო დაკავებული, ხოლო გაკვეთილების მიმდინარეობისას მოსწავლე მაინც ვერ შეძლებდა ბიბლიოთეკით სარგებლობას. წიგნის გატანა ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი ბიბლიოთეკის სამუშაო საათების შესაბამისად, 5-ის ნახევრამდე.

საბჭოს წევრი თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა ჩანაწერში, სადაც საუბარი იყო არასტანდარტული ზომის სპორტულ დარბაზზე, რაზეც ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დარბაზი მცირე ზომის იყო და ტანვარჯიშისთვის და სპორტული ცეკვებისთვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე კალათბურთის სათამაშოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაწყებით კლასებში სპორტული ცეკვები ჰქონდათ არჩეული, ხოლო კალათბურთისა და ფეხბურთისთვის იყენებდნენ გარე მოედანს.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ იკითხა, ზედნადებებთან დაკავშირებული პრობლემა კომპიუტერებზეც თუ ვრცელდებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული პრობლემა 3 კომპიუტერზე ვრცელდებოდა.

საბჭოს წევრი, მანანა რატიანი, დაინტერესდა, რატომ გაჩნდა პირველი კლასის სასწავლო პროგრამაში ფსიქოლოგიის სწავლების საჭიროება, ვინ იყო მასწავლებელი და რა სტანდარტით ხელმძღვანელობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ ეს იყო ფსიქოლოგიური საათი, რომელიც შეიმუშავეს 5-წლიანი ბავშვებისთვის და მას ატარებდა ფსიქოლოგი. აღნიშნული მიზნიად ისახავდა დისციპლინური პრობლემების პრევენციას და მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან უკეთ ადაპტირებას.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ სტანდარტთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ანგარიშ-ფაქტურებთან დაკავშირებით, აუდიტი ჰყავდათ მოწვეული და მოხდებოდა ამ საკითხის საფუძვლიანი შეფასება.

ლაშა მკურნალიძემ ექსპერტს კითხვით მიმართა, კლასების რაოდენობა თუ იყო საკმარისი. ნოდარ ანგურიძემ დაადასტურა რომ კლასების რაოდენობა საკმარისი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კანდიდის საშუალო სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-მდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს კანდიდის საშუალო სკოლას (ს/კ: 209476173) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

საბჭოს სხდომაზე 18:05 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:15 საათზე.

7. შპს თელავის ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ნოდარ ანგურიძემ. მან განაცხადა, რომ დაკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზები, კერძოდ:

1.საგანამანთლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო 2014-2015 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა. იგი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან:

- სკოლის მისია;
- სწავლების მესამე საფეხურისათვის შედგენილი სასკოლო საათობრივი ბადე, სავალდებულო და არჩევითი საგნების მითითებით.

საათობრივი ბადის ის ნაწილი, რომელიც აზუსტებს გაკვეთილების განრიგს დღეებისა და საათების მიხედვით, საგნის მასწავლებლების ვინაობის მითითებით, გაურკვევლად იყო შედგენილი და შეუსაბამობაში მოდიოდა საათობრივი ბადის იმ ნაწილთან, სადაც საგნების ჩამონათვალი და მათთვის გამოყოფილი საათების რაოდენობაა მითითებული. კერძოდ, გაურკვეველი იყო რომელ საგანს ატარებს მასწავლებელი ამა თუ იმ კლასში მოცემულ დღეს, მაგალითად,

1) მასწავლებელი - ს. ღამბაშიძე - ისტორიას ატარებდა თუ სამოქალაქო განათლებას;

2) მასწავლებელი _ ნ. ჟონჟოლაძე - ფიზიკას ატარებდა სავალდებულო სახით, თუ ასტრონომიას ატარებდაარჩევითი სახით;

3) მასწავლებელი - ნ. ბაღათრიშვილი- ბიოლოგიას ატარებდა სავალდებულო სახით, თუ სამედიცინო ბიოლოგიას და ჯანმრთელობას, არჩევითი სახით,

4) მასწავლებელი - თ. ბახსოლიანი, როდის ატარებდა სპორტის გაკვეთილებს, საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების გაკვეთილებს, სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილებს.

საათობრივი ბადის მიხედვით:

1) მეორე უცხო ენის - რუსულის სწავლებისათვის XII კლასში გამოყოფილი იყო 2 საათი კვირაში, ხოლო გაკვეთილების ცხრილის მიხედვით XII კლასში ჩასმული იყო 3 კვირეული საათი;

2) მათემატიკის სწავლებას საათობრივი ბადის მიხედვით ეთმობოდა 5 საათი XII კლასში, ხოლო გაკვეთილების ცხრილის მიხედვით ტარდებოდა 6 კვირეული საათი;

3) X კლასში ისტორიისათვის და სამოქალაქო განათლებისათვის 5 საათი იყო ჩასმული. გაუგებარია, რამდენი საათი იყო ისტორიის და რამდენი საათია სამოქალაქო განათლების სწავლებისათვის დათმობილი გაკვეთილების ცხრილის მიხედვით.

4) გაუგებარია მასწავლებელი - თ. ბახსოლიანი, რამდენ საათს უთმობდა სპორტის გაკვეთილებს, სამოქალაქო თავდაცვას და საგზაო ნიშნებს და მოძრაობის უსაფრთხოების გაკვეთილებს.

5) საათობრივი ბადეში არ იყო მითითებული არჩევითი საგნებისათვის დათმობილი საათების რაოდენობა.

სწავლება დაგეგმილი იყო ორ ცვლაში, პირველ ცვლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა იქნებოდა 9:00 –დან 15 : 15 სთ-მდე, ხოლო მეორე ცვლაში 15 : 00 - დან 21 : 15 საათამდე.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, როლანდ კობრეშვილმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების პოზიციებს და საბჭოს წარმოუდგინა განახლებული საათობრივი ბადე.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა გაცნობოდნენ განახლებულ საათობრივ ბადეს და დაედგინათ რამდენად შესაბამისობაში მოდიოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რაზეც ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ განახლებული საათობრივი ბადის გასაცნობად დრო სჭირდებოდა. აღნიშნულზე საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ სთხოვა ექსპერტს, საკითხის მოსმენის შემდეგ გაცნობოდა განახლებულ საათობრივ ბადეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში პირველ ცვლაში სწავლა სრულდებოდა 15:15 წუთზე, მეორე ცვლა კი იწყებოდა 15:00 წუთზე. ექსპერტებმა აღნიშნული ხარვეზი ტექნიკურად მიიჩნიეს, თუმცა მაინც მოხდა აღნიშნულის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი უზუსტობის მიზანი იყო მომხდარიყო შეჭრილი ცვლის გაკეთება. ექსპერთა ვიზიტის შემდეგ უხერხულობის თავიდან ასარიდებლად მოხდა აღნიშნულის კორექტირება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში მსგავსი განმარტება დაწესებულების მხრიდან შეჭრილი ცვლის არსებობის შესახებ არ გაკეთებულა და ამას პედაგოგებიც ვერ მოახერხებდნენ ფიზიკურად.

საბჭოს წევრი მანანა რატიანი დაინტერესდა, როდის ამთავრებდა დაწესებულება მეორე ცვლას, რაზეც როლანდ კობრეშვილმა განამრტა, რომ მეორე ცვლა დასრულდებოდა 21:45 წუთზე. მან განმარტა, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეთა უმრავლესობა დასაქმებული იყო და მათი ინტერესების გათვალისწინებით მოხდა მეორე ცვლის დამატება.

1.2 სკოლაში სწავლების განხორციელება დაგეგმილი იყო მესამე საფეხურზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება, ორ ცვლაში. საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილ სასწავლო პროგრამებში: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა არ იყო ასახული ეროვნული სტანდარტის ერთი მთლიანი მიმართულების (კერძოდ: მეცნიერული კვლევა/ძიება, ექსპერიმენტი) მიღწევის გზები, არ იყო მითითებული საკმარისი საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც სკოლის მისიის მიღწევის შესაძლებლობას ეჭვქვეშ აყენებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით როლანდ კობრეშვილმა წარმოადგინა ახალი სილაბუსები და განაცხადა, რომ ექსპერტების შენიშვნა გათვალისიწინებული იყო.

1.3. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლას პროგრამის სახით გააჩნდა ინკლუზიური განათლების შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლა აპირებდა სპორტული დარბაზის დანიშნულებით გამოეყენებინა ფოიე. დირექტორის განმარტებით, სკოლის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე, სკოლის ხარჯებით, მოწყობის პროცესში იყო მინი-ფეხბურთის მოედანი, დამონტაჟებული იყო კარები. სკოლამ წარმოადგინა შპს „ეითის“ კორესპონდენცია, რომლის მიხედვითაც შპს „ეითი“ ნებას რთავს სკოლას გამოიყენოს მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი სპორტული მოედნის მოსაწყობად, თუმცა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით აღნიშნული მიწის ნაკვეთი მისი კუთვნილება არ აღმოჩნდა.

2.2 სკოლა შესყიდული ჰქონდა ლაბორატორიული აღჭურვილობის გარკვეული ნაწილი მარინე ჩინგირაძისგან პ/ნ 20001017683, მიკროსკოპი - ჯეინაზი შარმაზანაშვილისგან პ/ნ

08001001056 გარდა ამისა ნიკოლოზ სულხანიშვილისგან პ/ნ 20001007737 ჩუქებით მიღებული ჰქონდა ნაწილი ლაბორატორიული აღჭურვილობისა. საერთო ჯამში სკოლის ლაბორატორიული აღჭურვილობა ნაწილობრივ შეესაბამებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ რეკომენდირებულ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობის ჩამონათვალს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა მატერიალური ბაზის განახლება და ლაბორატორიის შევსება. მან წარმოადგინა ვიზიტის შემდგომ შეძენილი ლაბორატორიის შემადგენლობის ჩამონათვალი.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ განმარტა, რომ საბჭოს მოვალეობაში შედიოდა ექსპერტთა დაკვნაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, საბჭოს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის ფაქტორები, რაც ტექნიკური უზუსტობებით იყო გამოწვეული. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების თანახმად, საბჭოს არ ჰქონდა მექანიზმი მხედველობაში მიეღო ისეთი ტიპის ხარვეზების გასწორება, რომელთა გადამოწმებაც დაკავშირებული, ან ხელახალი ვიზიტის განხორციელებასთან, ან მოითხოვდა დიდ დროს. ამჯერად, საბჭოს არც იმის მყარი დამადასტურებელი არგუმენტი გააჩნდა, რომ დაწესებულებამ ნამდვილად განაახლა სასწავლო ლაბორატორიები, რადგან არ შეიძლებოდა მისი ადგილზე გადამოწმება. მან ასევე დაამატა, რომ ლაბორატორიის დამონტაჟებას გააჩნდა საკუთარი სტანდარტები და ტექნიკა, და საბჭოს არ ჰქონდა იმის მყარი მტკიცებულება, ნამდვილად გამოსწორდა თუ არა ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ იკითხა, რამდენად სავალდებულო იყო ლაბორატორიებში მოცემული ინვენტარის არსებობა, რაზეც ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ რაოდენობა და ინვენტარის სახეობა საგნების მიხედვით დადგენილი იყო განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული ბრძანება მოიცავდა 200-ზე მეტი დასახელების ნივთს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტის განმარტებით ლაბორატორიაში არ დაფიქსირებულა ჩამონათვალიდან 50%-ზე მეტი დასახელების ინვენტარი.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ლაბორატორიაში არსებული რესურსით რამდენად შესაძლებელი იყო საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი განხორციელება, რაზეც ექსპერტებმა განმარტეს, რომ მსგავსი რამ შესაძლებელი არ იყო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სკოლას მისიის თანახმად საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლება ჰქონდა განსაზღვრული. არსებული რესურსი არ იძლეოდა არათუ გაძლიერების საშუალებას, არამედ სტანდარტის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ, ლაბორატორიის ინვენტარზე წარმოდგენილი დოკუმენტის მხედველობაში მიღება საბჭოს უფლებამოსილების გადამეტება იქნებოდა, რადგან საბჭოს გადაწყვეტილება ექსპერტების დაკვნის საფუძველზე უნდა მიეღო და შეუძლებელი იქნებოდა სხდომაზე სასწავლო ლაბორატორიის ინვენტარის დათვლა. ამასთან სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ ექსპერტებს სთხოვა გადაეხედათ სასწავლო ლაბორატორიების დამატებითი ჩამონათვალისთვის და ასევე აღნიშნა, რომ ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უკვე ძალიან დიდი მოცულობის იყო, რაც ფაქტიურად მის თავიდან განხილვას შეუძლებელს ხდიდა.

საბჭოს წევრმა მანანა რატიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს - რატომ არ იყო კათედრების ჩამონათვალში სპორტის კათედრა და ასევე დაინტერესდა ამ საგნის სწავლებისთვის აუცილებელი რესურსების რა ჩამონათვალი გააჩნდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაფორმებული იყო ხელშეკრულება სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ კომპლექსთან, თელავის სასპორტო გაერთიანებასთან, სადაც თელავში მოქმედი ყველა სპორტული კლუბი და კავშირი შედიოდა. მან აღნიშნული ხელშეკურლება წარუდგინა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით, რადგან დასკვაში მითითებული იყო, რომ სპორტული დარბაზი განთავსებული იყო ფოიეში.

როლანდ კობრეშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას სპორტის სახეობად არჩეული ჰქონდა ჭადრაკი. სპორტული შეჯიბრის გამართვის შემთხვევაში მოხდებოდა ფოიეს გამოყენება.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რამდენად იყო გაკვეთილების ცხრილი შეთანხმებული სპროტულ კომპლექსთან და როგორ მოხდებოდა მოსწავლეების გადაყვანა თუნდაც მიმდებარე ტერიტორიაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა აქცენტს აკეთებდა პირველ სმენაზე, მეორე სმენა შედიოდა მომავლის გეგმებში. დაწესებულებას აღნიშნულ კომპლექსთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ერთი წლის ვადით და სამომავლო პესპექტივაში დაწესებულებას მოედნის აშენება ჰქონდა დაგეგმილი.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რა გეგმები ჰქონდა დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის შემდეგ სპორტული კომპლექსი არ მოინდომებდა მასთან თანამშრომლობას და ვერც მოედნის აშენება მოხერხდებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოედანთან დაკავშირებული გაუგებრობა მალე აღმოიფხვრებოდა. მას შემდეგ რაც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად თელავი თვითმმართველი ქალაქი გახდა, აღნიშნული ტერიტორია დაექვამდებარა ქალაქის მუნიციპალიტეტს და არ ეკუთვნოდა შპს „ეითს". როლანდ კობრეშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა მუშაობა პრობლემის მოსაგვარებლად.

საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანი იყო გადაწყვეტილება მიეღო კანონის შესაბამისად და ბოლომდე გარკვეულიყო არსებულ ფაქტობრივ გარემოებებში დამაზუსტებელი კითხვების საშუალებით. მან შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რას ნიშნავს ფრაზა „სწავლისადმი ევროპული დამოკიდებულება", რაც მისიაში იყო ასახული.

საბჭოს წევრის შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეები გამოირჩეოდნენ სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულებით და დაწესებულების მიზანი იყო ამ დამოკიდებულების შეცვლა მოსწავლეებში, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და სამომავლო პროფესიულ არჩევანში დახმარების გაწევა. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში განსაზღვრული იყო საბუნებისმეტყველო მიმართულების გაძლიერება, მაგრამ პირველი სემესტრი დაკვირვების პერიოდი იქნებოდა და შემდეგ მოხდებოდა პროფილური მიმართულებების გაძლიერება. როლანდ კობრეშვილმა საბჭოს წარუდგინა განახლებული სილაბუსები და აღნიშნა, რომ სტანდარტის ის მიმართულება, რომელიც ითვალისწინებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ვიზიტის დროს არსებულ გეგმებში არ ფიგურირებდა დამატებული იყო განახლებულ ვერსიებში.

2.3 ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკა მოიცავდა 107 წიგნს, მათ შორის მხატვრულ ლიტერატურას, მეთოდურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს. წიგნები გატარებული იყო საინვენტარო წიგნში, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, დაწესებულებას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. შემუშავებული იყო

ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი. სრულად ვერ იქნა წარმოდგენილია ყველა კლასის, გრიფირებული სახელმძღვანელოები. არ ფიქსირდებოდა მე-10 კლასის ბიოლოგია და გერმანული; მე-11 კლასის რუსული, გერმანული, ინგლისური; მე-12 კლასის რუსული გერმანული და ინგლისურის სახელმძღვანელოები.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოხდა ბიბლიოთეკის განახლება და ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. დაკვნაში ასახულ 107 წიგნში შედიოდა სასკოლო სახელმძღვანელოები, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განახლებული წიგნადი ფონდის საერთო ჯამში შედიოდა როგორც სასკოლო, ასევე მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლის მიღებას გეგმავდა, რაზეც როლანდ კობრეშვილმა განმარტა, რომ სწავლების ორ ცვლაში განხორციელების შემთხვევაში 92 მოსწავლის მიღება სურდა.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ აღნიშნა, რომ 107 წიგნი 92 მოსწავლის შემთხვევაში ძალიან მცირე იყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოახდენდა წიგნადი ფონდის განახლებას.

2.4 სკოლის ვებ-გვერდის მისამართი იყო http://euroschool.tel.ge რომელიც წარმოადგენდა http://tel.ge-ს ქვედომეინს, ამის შესახებ განაცხადა სკოლის დირექტორმა, თუმცა დამადასტურებელი საბუთი ამ ფაქტის დადასტურებისა, ან რა პირობებით (რა ვადით) ხორციელდება ქვედომეინის დათმობა, სკოლამ ვერ წარმოადგინა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვებ-გვერდი განახლებული იყო და გააჩნდა მისი ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.საბჭოს წევრმა, თამარ ცირეკიძემ განაცხადა, რომ თავად დაათვალიერა ვებ-გვერდი და მისი დიაზინი და შინაარსი დადებითად შეაფასა.

2.5 სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წესდება, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები: საქმისწარმოების წესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები. დაწესებულებას ასევე შემუშავებული ჰქონდა შინაგანაწესი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია იყო წესით, მაგრამ არ ფიქსირდებოდა პედაგოგების მიერ ხელმოწერა, რაც ეწინააღმდეგებოდა ამავე შინაგანაწესის 25-ე მუხლს, გარდამავალ დებულებებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგებმა შეინაგანაწესის გაცნობა დაადასტურეს ხელმოწერებით პედაგოგიური საბჭოს ოქმზე, რომლის მიხედვით შინაგანაწესი იყო დამტკიცებული. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა 9 პედაგოგი და ყველა მათგანის ხელმოწერა იყო წარმოდგენილი. თამთა კობახიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თავადაც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფში და ვიზიტის პერიოდში პედაგოგთა ხელმმოწერა ოქმზე არ ფიქსირდებოდა.

2.6 ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებობდა დირექტორის მიერ ბეჭდით დამოწმებული საქმისწარმოების ერთიანი წესები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებდა დაწესებულებაში საქმისწარმოებას, შემოსული, გასული კორესპოდენციების აღრიცხვის წესებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ (მოსწავლეთა მოძრაობა), საკადრო და სხვა სახის ბრძანებების გამოცემისა და რეგისტრაციის წესს. ამ წესის თანახმად , „სხვა სახის ბრძანებებს“ ენიჭება ინდექსი 05. „დირექტორის დანიშვნით ბრძანებებს (პედაგოგიური პერსონალის, ადმინისტრაცია და სხვა)“ ენიჭებოდა ინდექსი 04 და შემდგომ ნომერი რიგითობის

მიხედვით. აღნიშნული წესი დაცული არ იყო საკადრო და საერთო ბრძანებების რეგისტრაციის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალი და აღნიშნა, რომ ხარვეზი გამოსწორებული იყო და ყველა ბრძანება დაწესებულების ვებ-გვერდზე იყო ატვირთული.

თამთა კობახიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი ეხებოდა საკადრო და სხვა სახვის ბრძანებების რეგისტრაციის დროს დაშვებულ შეცდომებს, შესაბამისად ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალი არ წარმოადგენდა ხარვეზის გასწორების დამადასტურებელ დოკუმენტს. საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძე გაეცნო ზემოთ აღნიშნულ ჟურნალს, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ჟურნალების დალუქვის დროს მითითებული უნდა იყოს დასახელება, თარიღი, და გვერდების რაოდენობა, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ ფქსირდებოდა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა პედაგოგის (მზია ყურაშიძის) კვალიფიკაციის დადასტურება პირადი საქმის არარსებობის გამო.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მზია ყურაშიძემ ოჯახური პიროებების გამო ვერ გააგრძელა დაწესებულებასთან თანამშრომლობა და მოხდა მისი განთავისუფლება.

3.2 სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავდა თანამშრომელთა გათავისუფლების წესებს. ამავე დოკუმენტში განსაზღვრული იყო წახალისებისა და სანქციების სისტემა. სკოლის წესდების მე-9 მუხლის 9.10 პუნქტის მიხედვით დირექტორი უფლებამოსილი იყო მიეღო და გაეთავისუფლებინა სამუშაოდან საზოგადოების მუშაკები. სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესების დოკუმენტის მე-10 მუხლის მიხედვით განისაზღვრებოდა პედაგოგიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის ბრძანებების რეგისტრაციის წესი. თუმცა დაწესებულებაში ვერ მოხერხდა პედაგოგთა შერჩევის წესის შესახებ რაიმე ტიპის დოკუმენტის მოძებნა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა შერჩევისა და მიღების გამჭვირვალე სისტემის არსებობის დამდასტურებელი დოკუმენტი.

თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას უკვე ჰყავდა პედაგოგიური პერსონალი, მაგრამ ადგილზე არ დადასტურდა თანამშრომელთა შერჩევის შესახებ რაიმე ტიპის დოკუმენტის მოძიება.

3.3 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლების ნაწილთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის საქმისწარმოების საერთო წესების შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო შესაბამის ჟურნალში შესაბამისი წესით. დაწესებულებაში ვერ მოხერხდა შრომითი ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალის მოძიება. სვეტლანა გელაშვილთან, რომელიც საშტატო განრიგის მიხედვით იყო დამრიგებელი, გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება მასწავლებლის პოზიციაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სვეტლანა გელაშვილის როგორც დამრიგებლის ფუნქციების ჩამორთმევის შესახებ ბრძანება.

ხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას გაცნობოდა და საბჭოსთვის მოეხსენებინა მოსაზრებები თემატური გეგმების განახლებულ ვარიანტთან დაკავშირებით, რაზეც ნელი ნასყიდაშვილმა განაცხადა, რომ მას არ გააჩნდა საკმარისი დოკუმენტაცია, რომ გეგმებში არსებული რესურსების შესაბამისობა დაედგინა წარმოადგენილი რესურსების ნუსხასთან. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ბიოლოგიის

მიმართულებით ლაბორატორიაში არ ფიქსირდებოდა ინვენტარი და არც აღნიშნულ ჩამონათვალში იყო ამ საგანთან დაკავშირებული ინვენტარი წარმოდგენილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს სურვილის შემთხვევაში მზად იყო გაცნობოდა წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ობიექტური გადწყვეტილების მიღებისათვის საბჭოს სურდა მოესმინა ექსპერტთა მოსაზრებები განახლებულ სასწავლო გეგმებთან და საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა მანანა რატიანმა მზადყოფნა გამოთქვა ექსპერტებთან ერთად გაცნობოდა სასწავლო გეგმებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა გაეთვალისწინებინა პედაგოგთა კვალიფიკაცია, გამოსწორებული ხარვეზები და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 19:00 საათზე.
საბჭოს განახლდა 19:20 წუთზე.
სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თელავის ევროპული სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -2
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს თელავის ევროპულ სკოლას (ს/კ: 431171509) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა საბჭოს გადაწყვეტილებას, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილ ვადებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მიკერძოებას და ლაბორატორიაში ინვენტარის ნაკლებობა არ იყო ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ხარვეზს მატერიალურ რესურსებთან მიმართებით გადაწყვეტილებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია და დაამატა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გასწორებული სასწავლო გეგმებისა და საათობრივი ბადის განხილვის შედეგად, ექსპერტებმა კვლავ ვერ დაადასტურეს მისი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

8. ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ნიჭიერთა ათწლედის ავტორიზციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების ინტერესებს ნიჭიერთა ათწლედის სამუსიკო სკოლის დირექტორი და ნიჭიერთა ათწლედის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი, მარიამ კასრაძე-საბაშვილი წარმოადგენდნენ. მათ მუსიკოსი ახალგაზრდებისთვის დაწესებულების მნიშვნელობის შესახებ აღნიშნეს. მათი თქმით, მუსიკალური სკოლის მოსწავლებისთვის მუსიკალური განათლების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელი იყო მუსიკალურ სკოლასთანვე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა. წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს ვიზიტის დროს და დასკვნის სახით მიცემული შენიშვნებისთვის და აღნიშნეს, რომ საბჭოს სხდომამდე დაწესებულება ცდილობდა ყველა მითითება გაეთვალისწინებინა და ხარვეზები გამოესწორებინა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მიუხედავად მათი ენთუზიაზმისა, კონსტიტუცია, გარდა ხელოვნებისა, მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მიცემას ავალდებულებდათ და საბჭო თავის გადაწყვეტილებას ემოციური ფაქტორების გათვალისწინებით ვერ მიიღებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მუსიკალურ აქტივობებში ინტენსიური ჩართულობის შესახებ აღნიშნა. საბჭოს წევრის, თამარ ცირეკიძის კითხვაზე პასუხად, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ამ დრომდე მოსწავლეებს სხვადასხვა სკოლებში სიარული უწევდათ, რასაც სამუსიკო სკოლაში სიარულს უთავსებდნენ. ამის გამო, მოსწავლეებს ხშირად ექმნებოდათ გაცდენებთან დაკავშირებული პრობლემები. სწორედ ამიტომ მშობლების ინიციატივით, გადაწყდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაფუძნება და ნულოვანი ბიუჯეტის პირობებში, მიუხედავად ხარვეზებისა, ის რასაც სკოლამ და მისმა პერსონალმა საბჭოს სხდომამდე მიაღწია, დიდი მხარდაჭერის შედეგი იყო.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, მთავრობის დადგენილებით გამონაკლისი იქნა დაშვებული, სკოლას სამუსიკო სკოლის შენობით სარგებლობის უფლება მიეცა და ეს მეტყველებდა მათ მხარდჭერაზე.

ავტორიზაციის ჯგუფის ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მესამე საფეხურის არჩევითი სავალდებული საგნები არც სასკოლო საათობრივ ბადეში და არც სასკოლო გეგმაში ყოფილა ასახული.

სკოლას განსაზღვრული ჰქონდა, ერთი მხრივ, 12-წლიანი სწავლება და სამივე საფეხურის მიზნები და ამოცანები, ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ V-VI , VII-IX და X-XII კლასების ზოგიერთი საგნის სილაბუსები ჰქონდა წარმოდგენილი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია შემდეგი საგნების სილაბუსები:

- უცხოური ენები, ინგლისური;
- მათემატიკა (I-X I კლასები);
- მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
- გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
- სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ისწავლება IV, VIII და XII კლასებში);
- ტექნოლოგიები(ისტ) (ისწავლება I, V-VI კლასებში);
- ესთეტიკური აღზრდის;

ექსპერტმა განაცხადა, რომ I-IV კლასები სრულად იგნორირებული იყო - დაწესებულებას აღნიშნული პროგრამები არ წარმოუდგენია. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადრე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღება მე-5 კლასიდან წარმოებდა. მისივე თქმით, მოთხოვნა ახლაც იგივე იყო და დაწესებულებაც მოთხოვნის შესაბამისად მოქმედებდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენად საჭირო იყო სკოლას I-IV კლასის პროგრამები წარმოედგინა, როცა მათ განხორციელებას არ აპირებდა. ამასთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა, რომ იურიდიულად, სკოლას ექნებოდა უფლება მიეღო პირველკლასელებიც და პროგრამების არარსებობა ხარვეზი და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამობა გამოდიოდა. მისივე თქმით, საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე. საბჭოს წევრების განცხადებით, ამ პრეცენდენტის ხარვეზად არმიჩნევის შემთხვევაში, სკოლისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების საკითხი უნდა დამდგარიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება მოსწავლის მიღებაზე უარი ეთქვა მშობლისთვის, რომელიც შვილს პირველ კლასში შეიყვანდა, რადგან ზოგადსაგანამანათებლო დაწესებულების სტატუსის მიღების შემთხვევაში მას მიენიჭებოდა დაწყებით სახეფუზე საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლას უნდა აერჩია მინიმუმ სამი (3) სახეობა. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა არჩეული სპორტის რომელიმე სახეობა. შესაბამისად საგნობრივი პროგრამაც არ იყო შემუშავებული. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ VI და X-XII კლასის სპორტის სილაბუსები.

სკოლაში ფუნქციონირებდა 6 საგნობრივი კათედრა. სასკოლო სასწავლო გეგმაში მხოლოდ კათედრის ფუნქციები იყო გაწერილი, კათედრების სხდომის ოქმები და კათედრების სამოქმედო გეგმები სკოლამ ვერ წარმოადგინა.

სკოლამ ვერ წარმოადგინა კლასის დამრიგებელთა სააღმზრდელო პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მოსწავლეებს შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

1.2. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, მაგრამ არ იყო განსაზღვრული მულტიდისციპლინური გუნდი, მათი მუშაობის პრინციპები, სამუშაო განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და, აგრეთვე, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებდნენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლას/ისგ ჯგუფს უნდა განახორციელებინა შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი, რაც არ იყო განსაზღვრული.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ განაცხადა, რომ სკოლას აღნიშნული გუნდის ყოლის ვალდებულება არ გააჩნდა თუ სსსმ მოსწავლეები არ ჰყავდა. ამ ფუნქციას სამინისტრო ითავსებდა და სკოლას მხოლოდ ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა ევალებოდა. მიუხედავად ამისა, ავტორიზაციის ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ სკოლას აღნიშნული გუნდი მაინც უნდა ჰყოლოდა. სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, მულტიდისციპლინურ გუნდს ვერ ექნებოდა სათანადო კომპეტენცია იმისთვის, რომ მაგალითად, აუტისტური სპექტრის ბავშვი შეეფასებინა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მშობელზე გაიცემოდა რეკომენდაცია თუ რომელ დაწესებულებაში შეიძლებოდა მოსწავლის მიყვანა.

1.3. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლას, ეროვნული სასაწავლო გეგმის დანერგვისა და მისი განხორციელების ხარისხის შეფასებას. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ ინდიკატორები სკოლის თვითშეფასებისათვის ცხრილების სახით. ამ ინდიკატორების გამოყენების ხერხები და მეთოდები სკოლას შემუშავებული არ ჰქონია.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1. შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფართი რომელიც დაწესებულებას იჯარით ჰქონდა აღებული ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედს", საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის #1 ცენტრალური სასწავლებლისგან იყო - 750.6 კვ.მ. და შედგებოდა: შენობის მე-4 სართულზე 13 ოთახისაგან, მე-3 სართულზე სანიტარული წერტილისაგან და პირველ სართულზე „სპორტული დარბაზისაგან" (როგორც გამოჩნდა, დაწესებულება 50.6 კვ.მ. ფართს და სამ ოთახს უკანონოდ იყენებდა - არ იყო გაფორმებული საჯარო რეესტრში). აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ იყო გამიჯნული ერთმანეთისგან ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის" მიერ იჯარით აღებული ფართი და საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის #1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მფლობელობაში დარჩენილი ფართი.

6 მერხით და 22 სკამით დაწესებულება სარგებლობდა უკანონოდ - ქონება არ იყო მისი საკუთრება და არც იჯარით ჰქონია გადაცემული.

დაწესებულებას იჯარით ჰქონდა აღებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის #1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლიდან შენობის პირველ სართულზე არსებული ე.წ. სპორტული დარბაზი, რომელიც იყო ერთმანეთთან გაერთიანებული ორი ჩვეულებრივი ოთახი, ნესტიანი და სარემონტო. დაწესებულებას არ ჰქონდა საცურაო აუზი და გარე სპორტული მოედანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სპორტულ დარბაზში ამჟამად რემონტი მიმდინარეობდა. საბჭოს წევრი, თამარ ცირეკიძე დაინტერესდა დასკვნაში სპორტული დარბაზის ბრჭყალებით მითითების მიზეზის შესახებ.

საბჭოს წევრმა ინდირა ამირანაშვილმაკი იკითხა, რამდენად აკმაყოფილებდა სკოლის მიერ გამოყენებული ფართი სპორტული დარბაზის სტანდარტებს. დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან კითხვაზე დადებითი პასუხის საპირისპიროდ, დავით ჭეიშვილმა მოკლედ აღწერა აღნიშნული სტანდარტები და პარამეტრები.

2.2. დაწესებულებას იჯარით ჰქონდა აღებული სანიტარული წერტილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის #1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლიდან შენობის მე-3 სართულზე, რომლითაც ერთდროულად უნდა ესარგებლათ გოგონებსა და ბიჭებსაც (არ იყო გამიჯნული). ამ სანიტარული წერტილით სარგებლობდა ასევე მეიჯარეც, რადგანაც იჯარით გაცემული ფართი არა იყო გამიჯნული.

სამუსიკო სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მთავრობის მიერ შენობის იჯარით გადაცემისას აღნიშნული საკითხის გათვალისწინება ვერ მოხერხდა (სველი წერტილის იჯარაში შეყვანა). აქვე, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ სკოლას დამატებით ერთი შენობაც გადასცა, რომელშიც სარემონტო სამუშაოები მალე დასრულდებოდა.

დირექტორმა დაამატა, რომ ყველაფერს ბავშვებისთვის აკეთებდა და პირადი ინტერესები არ ამოძრავებდა და პირობას დებდა, რომ სპორტული დარბაზის ჩათვლით ყველა ხარვეზს გაასწორებდა. თამარ ცირეკიძემ მიუთითა, რომ ხარვეზები დაწესებულებას ადგილზევე, ვიზიტის დროს უნდა გაესწორებინა, თუმცა სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამისთვის დრო არ იყო საკმარისი.

2.3. სკოლაში არ იყო სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. არ იყო წიგნადი ფონდი, პერიოდიკა და სხვა დამხმარე მასალა. ბიბლიოთეკაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოები არ იყო შესაბამისობაში სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებთან. მაგალითად: ფიზიკაში VIII-XI კასებში აქვთ სახელმძღვანელოები ეთერ ბასიაშვილის ავტორობით, რომლებიც არაა გრიფირებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ასევე არაა გრიფირებული ბიბლოთეკაში არსებული VIII კლასის მუსიკის სახელმძღვანელო, რომლის ავტორიცაა ქ. ცაგარელი და ი. ჩხეიძე. საერთოდ არ იყო წარმოდგენილი X კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში არ იყო საინვენტარო წიგნი, ანბანური კატალოგი, საგნობრივი საძიებო სისტემა და ა. შ. ბიბლიოთეკაში წიგნების საერთო რაოდენობა 166 (ასსამოცდაექვსი) ერთეული იყო, წიგნები არ ყოფილა დამუშავებული ბიბლიოგრაფიული წესის შესაბამისად.

2.4. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გადასატანი ხის პანდუსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლის მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის #1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლიდან მე-3 სართულზე იჯარით აღებულ სანიტარულ წერტილში ერთ-ერთ კაბინაში დმონტაჟებული იყო უნიტაზი და სახელურები, მაგრამ ამ ტუალეტით ვერ ისარგებლებდა ეტლიანი პიროვნება, რადგან ფართი პატარა იყო, გარდა ამისა, ექსპერტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ სანიტარული წერტილით უნდა ესარგებლა როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს.

2.5. სკოლას ჰქონდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის #1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლიდან იჯარით გადაცემული ხუთი კომპიუტერი და ერთი ნოუთბუკი, რომელებიც არ იყო ჩართული ქსელში და არ ჰქონდა ინტერნეტ უზრუნველყოფა. სკოლის ვებ გვერდი არ მუშაობდა, შესაბამისად, ვერ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ოთახში სადაც კომპიუტერები იყო განლაგებული განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

2.6. სკოლაში იყო „სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომელიც არ იყო დამტკიცებული და „საევაკუაციო გეგმა“. შენობის მე-4 სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარიდან იყო მხოლოდ 2 ცეცხლმაქრი, რომლის ფლობის დამადასტურებელი დოკმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია. დაწესებულებას არ ჰქონდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის ცენტრალურ შემოსასვლელში, გარე პერიმეტრზე, ეყენა მხოლოდ ერთი უსაფრთხოების კამერა, ხოლო მეორე შესასვლელთან საერთოდ არ ეყენა, რაც

ეწინააღმდეგება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ვერ დადგინდა ამ კამერის შესაბამისობასაც აღნიშნულ წესთან იმიტომ, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კამერის ტექნიკური პარამეტრების შემცველი დოკუმენტები. გარდა ამისა არც ამ კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები ყოფილა წარმოდგენილი. მე-4 სართულზე დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერა სრულად ვერ უზრუნველყოფდა ამ სართულის გაკონტროლებას.

2.7. დაწესებულებას არ წარმოუდგენია დამფუძნებელთა საბჭოს იმ სხდომის ოქმი, რომელზეც მოხდა სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება.

სკოლის წესდებაში, მე-17 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული იყო, რომ სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს; ასევე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რაც შეუსაბამობას წარმოადგენდა.

2.8. ა(ა)იპ ზოგასაგანმანათლებლო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედმა" წარმოადგინა სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, თუმცა დადგენა იმისა, რომ აღნიშნული გეგმები რამდენად გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, ძალიან ძნელი იყო.

2.9. სკოლაში არ მიმდინარეობდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კერძოდ: დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალები, შიდა ადმინისტრაციული აქტების (ბრძანებების) რეგისტრაციის ჟურნალი, დამფუძნებელთა სხდომის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი და ა. შ.

3. ადამიანური რესურსთან მიმართებით:

3.1. პედაგოგების უმრავლესობა შერჩეული იყო „ზოგადი განათლების შესახებ" კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა:

- ფიზიკური აღზრდისა და სამოქალაქო თავდაცვის პედაგოგს არ გააჩნდა ამ უკანასკნელის შესაბამისი კვალიფიკაცია. კერძოდ, პედაგოგს ჰქონდა მხოლოდ საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის განათლება და არ ფლობდა სათანადო სამუშაო გამოცდილებას;
- გეოგრაფიის პედაგოგი ფლობდა სამთო ინჟინერ-გეოლოგის აკადემიურ კვალიფიკაციას, თუმცა ჰქონდა გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება;
- სკოლის ბიბლიოთეკარს, ვის უფლებამოსილებასაც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ითავსებდა, არ გააჩნდა სათანადო კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პედაგოგთა პირადი საქმეები, ხშირ შემთხვევაში, არ იყო სრულყოფილი - კერძოდ, ისინი არ მოიცავდა სრულად სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. არც ერთი პედაგოგის პირად საქმეს არ ერთვოდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. ოთხი პედაგოგის პირად საქმეს არ ერთვოდა ფოტო სურათი.

3.2. შინაგანაწესის მიხედვით, თანამშრომლები დასაქმების მსურველის მიერ განაცხადის წარმოდგენისა და დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე შეირჩეოდნენ. თუმცა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის შევსებულ ფორმაში დაწესებულება თანამშრომელთა შერჩევის სამ ეტაპს გამოყოფდა: დოკუმენტებით (CV) შერჩევის ეტაპს, ტესტირებასა და გასაუბრებას.

3.3. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები პერსონალის მიღების თაობაზე, თუმცა დაწესებულებაში ბრძანებების რეგისტრაცია არ წარმოებდა. ასევე, ფიქსირდებოდა შემდეგი ხარვეზები:

- ხათუნა გეგეშიძეს გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება ფიზიკისა და მათემატიკის პედაგოგის პოზიციაზე, თუმცა დირექტორის ბრძანება მხოლოდ ფიზიკის პედაგოგად დანიშვნაზე იყო გაცემული;
- ბრძანებაში მაია ნეფარიძის მათემატიკისა და ინფორმატიკის პედაგოგად დანიშვნის შესახებ არასწორად იყო მითითებული დასაქმებულის სახელი (მზია - მაიას ნაცვლად);
- ლალი დავითაშვილი ხელშეკრულების და ბრძანების მიხედვით დანიშნული იყო ისტორიის პედაგოგად, სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით კი პედაგოგი დამატებით სამოქალაქო განათლებასაც ასწავლიდა;
- მურმან ხარაული ხელშეკრულების და ბრძანების მიხედვით დანიშნული იყო სპორტის და ფიზიკური აღზრდის პედაგოგად, სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით კი პედაგოგი დამატებით სამოქალაქო თავდაცვასაც ასწავლიდა;
- ნინო ღარიბაშვილის ხელოვნების და მუსიკის პედაგოგად დანიშვნის შესახებ ბრძანება დაწესებულებას არ წარმოუდგენია (წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხელშეკრულება).

3.4. სკოლას არ წარმოუდგენია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა ან სხვა ტიპის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სკოლას ცხრილების სახით შემუშავებული ჰქონდა სკოლის თვითშეფასების ინდიკატორები, რომლებიც მოცემული იყო განვითარების ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში, თუმცა განხორციელების მექანიზმები დაწესებულებას წარმოდგენილი არ ჰქონდა.

3.5. შინაგანაწესის მიხედვით, მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის უფლება-მოვალეობები და შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ფორმები რეგულირდება სკოლის დებულებით, სკოლის შიგანაგაწესით, შრომითი ხელშეკრულებითა და მშობელსა და სკოლის დირექტორს შორის დადებული ხელშეკრულებით. აქედან, სკოლის დებულება და მშობელსა და დირექტორს შორის დადებული ხელშეკრულებები სკოლას არ წარმოუდგენია. ამას გარდა, მიუხედავად შინაგანაწესში მითითებისა, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ მოიპოვებოდა ინფორმაცია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზების გასწორება მოხდა, თუმცა მას არ ჰქონდა ინფორმაცია გამოსწორებული ხარვეზების საბჭოზე წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ, ამიტომ ხარვეზების დამდასტურებელი დოკუმენტაცია თან არ გააჩნდა და არც შესაძლებლობა ჰქონდა წარმოადგენის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად გულწრფელი მხარდაჭერისა, გადაწყვეტილებაზე პირადი ემოცია გავლენას ვერ იქონიებდა. ორი ინსტიტუციის გაერთიანება, რასაც სკოლების წარმომადგენლები აპირებდნენ, მარტივ პროცესს არ წარმოადგენდა და საჭირო იყო, ყველაფერი სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსულიყო.

თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენლებს ჰკითხა, საქმის წამოწყებამდე გაიარეს თუ არა კომპეტენტურ პირებთან კონსულტაცია. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ კონსულტაციისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრშიც იყვნენ, თუმცა არ სურდა კონკრეტული პირების დასახელება, ვისთანაც კონსულტაცია გაიარეს.

სხდომაზე 19:54 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 20:08 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანალებლო სკოლა ნიჭიერთა ათწლედის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1
წინააღდეგი - 5

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანალებლო სკოლა ნიჭიერთა ათწლედს (ს/კ: 405001714) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

განმარტების მიზნით, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს არ ჰქონდა უფლება მსგავს შემთხვევაში დაწესებულება ავტორიზებულად ეცნო. მისივე თქმით, პირადად შეეძლო დაწესებულებისთვის შუამდგომლობა გაეწია სამინისტროსთან, რადგან საბჭოს მართლაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე და შეიძლება სკოლისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზეც ემსჯელათ, თუმცა ავალდებული იყო დადგენილ სტანდარტებს მიჰყოლოდა.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა ბავშვებისთვის კეთდებოდა და არა მისი პირადი ინტერესისთვის. თავმჯდომარემ პასუხად მიუგო, რომ ბავშვებს სილაბუსების გამართული სისტემაც სჭირდებოდათ. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ცენტრს ისეთი ექსპერტები უნდა გამოეგზავნა, რომლებიც ბავშვებს პატივს სცემენ და უყვართ. მისივე თქმით, ხარვეზების გამოსწორება კიდევ შეიძლებოდა და ეს არ იყო დარღვევა, რომლის საფუძველზე დაწესებულებას ავტორიზაცია არ უნდა მინიჭებოდა.

9. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სკოლის წარმომადგენელმა, საკუთარი თავის წარდგენის შემდეგ აღნიშნა, რომ სკოლის განზრახვა ჰერეთიდან ქართული ახალგაზრდობის ჩამოყვანა და ეროვნული ცნობიერებით გაზრდა იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები, ვიზიტის დროს, მხოლოდ მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირდა. კერძოდ:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შენობის გარე პერიმეტრის სათვალთვალოდ დაყენებული იყო 6 ვიდეოკამერა, მათგან ორი ძირითად შესასვლელზე, თითო კამერა თითო კედელზე სადაც სათადარიგო შესასვლელებია და კიდევ ორი კამერა შენობის იმ მხარეს, რომელიც უკონტროლებელი რჩება წინა ოთხი კამერიგან. კამერების ასეთი განლაგება საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს არამარტო შესასვლელები, არამედ შენობის ირგვლივ მთელი ტერიტორია. ამ კამერების პარამეტრები არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით მოთხოვნილ პარამეტრებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 4 კამერის შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შეძენილი კამერები აკმაყოფილებდა მოთხოვნილ პარამეტრებს და მოხდა შესასვლელებზე დაყენებული კამერების ახლებით ჩანაცვლება, მაგრამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტი - „მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთის მიერ თანხის ჩარიცხვიდან 24 სამუშაო დღის ფარგლებში განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება“ და 6.1 პუნქტი : „ თანხის 100%-ის გადახდა განხორციელდება განხორციელდება ობიექტის ჩაბარებისთანავე“ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, აღნიშნულ ფრაზებთან დაკავშირებული გაურკვევლობა დაწესებულებამ გამოასწორა.

1.2 სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სველი წერტილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ნაწილობრივ იყო მოწესრიგებული, კერძოდ - მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ ამჟამად სამუშაოები დასრულებული იყო - დაწესებულებამ აღნიშნულის დასადასტურებლად, საბჭოს სხდომამდე, ექსპერტებს სურათიც წარმოუდგინა.

1.3. ვიზიტის დროს, დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას წყალი სკოლის გვერდით მდებარე ეკლესიის კუთვნილი წყალმომარაგებიდან მიეწოდებოდა, რის შესახებაც წერილობითი შეთანხმება სკოლასა და ეკლესიას შორის დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

საბჭოს სხდომამდე, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყველა საჭირო დოკუმენტაცია მიაწოდეს. თავმჯდომარემ დოკუმენტაციის საბჭოსთვის წარმოდგენა ითხოვა. დაწესებულების წარმომადგენლებმა დოკუმენტების დედნები წარმოადგინეს და ასლების გადასაღებად ცენტრის წარმომადგენელს გადასცეს.

1.4. ვიზიტის დროს, სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციებს ასრულებდა http://skola-gorgasali.blogspot.com/ და http://skola-gorgasali.umi.ru/ ბლოგები. ბლოგები უფასოა ამდენად ვებ-ჰოსტინგისა და დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა.

საბჭოს სხდომამდე, დაწესებულების წარმომადგენლება ექსპერტებს დომეინზე გაფორმებული ხელშეკრულება წარმოუდგინეს. სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს განუცხადა, რომ კომუნიკაციის საშუალებას ბლოგიც იძლეოდა. ნელი ნასყიდაშვილი დაეთანხმა თავმჯდომარეს, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისა და ცენტრის წარმომადგენელმა, თამთა კობახიძემ შენიშნა, რომ შესაძლოა ბლოგის კოპირება მომხდარიყო. აღნიშნულს დაეთანხმა ექსპერტი, ნოდარ ანგურიძე და ვებ-გვერდის უპირატესობის შესახებ განაცხადა.

საბჭოს წევრი, თამარ ცირეკიძე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადამიანური რესურსების ნაწილში დასკვნაში წარმოდგენილი მითითებით დაინტერესდა, იმის შესახებ, რომ ერთსა და იმავე პიროვნებასთან, ნონა ლაპიაშვილთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება, როგორც დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგთან და იმავდროულად სკოლის ბიბლიოთეკარის პოზიციაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ ხელოვნების მასწავლებლის დატვირთვა გაიზრდებოდა, მაშინ დაწესებულება ცალკე დაასაქმებდა ბიბლიოთეკარს - მიმდინარე ეტაპზე, პედაგოგს 1-4 კლასებში მხოლოდ 8 საათიანი დატვირთვა ჰქონდა.

თამარ ცირეკიძე დაწესებულების მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სპორტის სახეობებითაც დაინტერესდა. წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლა მოსწავლეებს ჭადრაკის, ჩოგბურთს და კალათბურთს სთავაზობდა. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ საბჭოს განუცხადა, რომ ვინაიდან სკოლა მხოლოდ დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს ახორციელებდა, სამი სპორტული სახეობის წარმოდგენა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

თამარ ცირეკიძემ დასკვნის საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით 1.6 სტანდარტის შეფასების ნაწილში მითითებული ინფორმაციის განმარტება ითხოვა: კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში: 1) შიდასასკოლო თვითშეფასების გეგმა, 6 მიმართულებით: სასწავლო პროცესი, სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის პირობები, სამეცნიერო-ექსპერიმენტალური საქმიანობა, სააღმზრდელო პროცესი, მეთოდური მუშაობა, კოლექტივის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. და 2) მონიტორინგი, შეფასება და თვითშეფასება ობიექტების მიხედვით: საკლასო-განმაზოგადებელი, ფრონტალური, თემატური, პროდუქტიული, მიმომხილველი."

სკოლის წარმომადგენელმა, მაია ლაპიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა სკოლის ხარისხის განვითარებისა და შიდასასკოლო შეფასების მექანიზმის ნაწილს და წარმოადგენდა ინდივიდუალური მუშაობის შედეგს და არა პლაგიატს სხვა სკოლის დოკუმენტაციიდან.

თამარ ცირეკიძემ სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი დამატებით სააღმზრდელო მომსახურების, კერძოდ საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლების შესახებ განმარტება მოითხოვა. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამაც უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი და ასევე, სამინისტროს მხრიდან ნებარვა უნდა ყოფილიყო გაცემული, თუმცა მხოლოდ რეგიონის სასულიერო ხელმძღვანელის ნებართვა იყო

წარმოდგენილი. თამარ ცირეკიძემ განაცხადა, რომ საერო და სასულიერო სფეროები უნდა გამიჯნულიყო.

საბჭოს წევრი, მანანა რატიანი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა დაწესებულებას 1-4 კლასებში გათვალისწინებული საშემოდგომო გამოცდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული 5-6 კლასებს ეხებოდა და მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მე-5 და მე-6 კლასები არ ჰყავდა, მაინც წარმოადგინა. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლის საშემოდგომო გამოცდაზე გასვლის საჭიროება არ უნდა დგებოდეს - წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე შეზღუდულ შესაძლებლობებთან უნდა გვქონდეს და არა საშემოდგომო გამოცდასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს ასეთი პრობლემის მქონე მოსწავლის ყოლის სურვილი, მოთხოვნისამებრ იქცეოდა და წარმოდგენილი ჰქონდა პრევენციის მექანიზმი.

საბჭოს წევრებმა რჩევის სახით დაწესებულებას განუცხადეს, რომ სკოლისთვის ინტერნატის დარქმევას ისევ პანსიონის წოდება სჯობდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 65-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატს (ს/კ: 428518017) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 65-ით.

10. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სკოლას საბჭოზე სკოლის დირექტორი, ვასო ჯანიაშვილი და მისი მოადგილე წარმოადგენდნენ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სკოლა დაწყებით და საბაზო საფეხურების განხორციელებას გეგმავდა. მისივე თქმით, ვიზიტისას ერთი უზუსტობის დაფიქსირება მოხდა, რომელიც ფართის დაკანონების საკითხს შეეხებოდა. კერძოდ, ნელი ნასყიდაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლის კუთვნილი ეზო, გარე პერიმეტრისგან, ქვის კედლით იყო გამიჯნული, რომლის შიგნითაც მდებარეობდა სკოლის ძირითადი შენობა და მასთან ერთად, ერთი დამხმარე ნაგებობა, რომელიც არ იყო გარემონტებული და რეესტრის მონაცემებით, არც სკოლის მფლობელობაში ფიქსირდებოდა. ექსპერტის შეფასებით, ქვის ღობის შიგნით სკოლის მფლობელობაში არსებული ფართი უჩვეულოდ იყო განაწილებული. კერძოდ, ღობიდან დაახლოებით ორი მეტრის მანძილზე არსებული მიწა სკოლას ეკუთვნოდა, შემდგომ კი, კვლავ ღობის შიგა პერიმეტრზე არსებული მიწის ნაწილი სკოლის საკუთრებად არ ფიქსირდებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი დაწესებულების ხელმძღვანელმა, ვასო ჯანიაშვილმა გააკეთა. მისი განცხადებით, აღნიშნული ფართი ადრე რადიოსადგურს ეკუთვნოდა, შენობა ამორტიზებული იყო და გაიყიდა - ჯერ შენობა, შემდგომ კი მიწის აღნიშნული ნაკვეთიც. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამჟამად შენობით სკოლა სარგებლობდა. საბჭოს თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ქვის კედლის შიგნით არსებული ფართის შესყიდვის სურვილი წესით არავის უნდა გასჩენოდა, თავად სკოლის გარდა.

ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ მეტი ხარვეზი დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპრტთა ჯგუფს არ გამოუვლენია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა 120 მოსწავლის მიღებას გეგმავდა. სკოლაში 16 პედაგოგი იყო დასაქმებული, აქედან სამი სერტიფიცირებული მასწავლებელი იყო. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლა 100 ინდივიდუალურ მერხი და 100 სკამს ფლობდა, შესაბამისად, 100 მოსწავლის მიღება შეეძლო. ექპერტების თქმით, თუკი სკოლამ უზრუნველყო პირობები მეტი მოსწავლის მისაღებად, მაშინ სკოლას პრობლემა არ უნდა შექმნოდა.

საბჭოს წევრი, თამარ ცირეკიძე ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგის კომპეტენციებით დაიტერესდა, რომელიც საქმისმწარმოებლის თანამდებობასაც ითავსებდა და ქიმიასა და საბუნებისმეტყველო საფუძვლებსაც ასწავლიდა. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა დაადასტურა, რომ მასწავლებელი სერტიფიცირებული ქიმიის პედაგოგი იყო, ასევე, პირად საქმეში წარმოდგენილი ჰქონდა საინფორმაციო ტექნოლოგიებში მიღებული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი და აღჭურვილი იყო სათანადო სამუშაო გამოცდილებითაც.

საბჭოს წევრის, თამარ ცირეკიძის კითხვაზე პასუხად, ექსპერტებმა ასევე დაადასტურეს, რომ სკოლის ლაბორატორია შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელს (ს/კ: 406091857) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:53 წუთზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე